ჩერკასში რეიდერების მიერ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის საკათედრო ტაძრის მიტაცებისას მღვდელთმთავარმა და მრევლმა ჭრილობები მიიღეს

სსკგ-ის კომუნიკაციების სამსახური, 17.10.2024. მეორე მცდელობით, 2024 წლის 17 ოქტომბერს, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მთავარანგელოზ მიქაელის საკათედრო ტაძარი ქალაქ ჩერკასში (უკრაინა) კამუფლაჟიანმა თავდამსხმელებმა დაიპყრეს.

თავდასხმა ღამის 3 საათზე დაიწყო. ასამდე სახედაფარული თავდამსხმელი ეკლესიაში შეიჭრა, სადაც, ამ დროს, ჩერკასის ეპარქიის ტელეგრამ-არხის **თანახმად,** ღამის წირვა აღესრულებოდა. თავდამსხმელებმა ძალის გამოყენებით გამოაძევეს მორწმუნეები ტაძრიდან და ტაძრის ტერიტორიიდან. თვითმხილველებს არ აძლევდნენ დანაშაულის ამსახველი ფოტო-ვიდეოების გადაღების საშუალებას: ართმევდნენ ტელეფონებს ან ფანრის შუქით აბრმავებდნენ ტელეფონის ობიექტივებს. გაანადგურეს, ასევე, ვიდეო-თვალის სტაციონარული კამერები.

გარდა ამისა, რეიდერები შეიჭრნენ ეპარქიის ადმინისტრაციის შენობაში და გადაკეტეს ეპარქიის სამღვდელოების საერთო საცხოვრებელი. „მღვდლების მცირეწლოვანი ბავშვები (შვიდი ბავშვი 3 თვიდან 8 წლამდე) შეშინებულები და სტრესულ მდგომარეობაში არიან“, – **გადმოსცა** ადრე დილით „ჩერკასის ბლაგოვესტნიკის“ ტელეგრამ-არხმა.

როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, თავდასხმასთან ერთად რეიდერებმა ტაძარიც გაძარცვეს. ბოროტმზრახველებმა გაანადგურეს ბუღალტერია, გაიტაცეს დოკუმენტები და კომპიუტერული ტექნიკა. მართლმადიდებელ ჟურნალისტთა კავშირი **ციტირებს** საკათედრო ტაძრის წარმომადგენლების სიტყვებს, საიდანაც ირკვევა, რომ ეკლესიიდან გაუჩინარდა მრევლის მიერ ზარისა და რესტავრაციისთვის შეგროვებული თანხა, ეპისკოპოსის ორი პანაღია წმინდა ნაწილაკებით, ასევე ჯვრები, ხატები, საეკლესიო ჭურჭელი და წიგნები. შენობიდან მოიპარეს აგრეთვე ტანსაცმელი და საკვები, მათ შორის მურაბა და ზამთრის კონსერვები.

თავიანთი სიწმინდის დასაცავად შეიკრიბა ჩერკასის მართლმადიდებელი მოსახლეობა ჩერკასისა და კანევის მიტროპოლიტ თეოდოსის მეთაურობით. მათ მოახერხეს ეკლესიის დამპყრობლების განდევნა, რომლებმაც ტაძრის კედლების დატოვებისას მრევლს გაზის პისტოლეტებიდან **სროლა აუტეხეს,** ასევე ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს მორწმუნეების წინააღმდეგ. ტაძარზე თავდამსხმელთა შორის ადგილობრივმა მცხოვრებლებმა „მეუ“-ს სქიზმატური სტრუქტურის „კლირიკოსი“, ნაზარი ზასანსკი შეიცნეს.

გარკვეული პერიოდის შემდეგ, რადიკალებმა და ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაიწყეს მხარდამჭერების შეგროვება სოციალურ ქსელების მეშვეობით და რამდენიმე საათის შემდეგ ტაძარზე **მეორე თავდასხმა** მოაწყვეს. შეიჭრნენ რა საკათედრო ტაძრის ტერიტორიაზე, თავდამსხმელებმა მორწმუნეებს სცემეს და ცრემლსადენი გაზი შეასხეს. შედეგად, სიწმინდის დამცველთა შორის ბევრს შეექმნა მხედველობის პრობლემა, ზოგს დაუფიქსირდა ტვინის შერყევა, სხეულის სხვადასხვა ადგილის დაზიანება.

ჩერკასისა და კანევის მიტროპოლიტმა თეოდოსიმ მართლმადიდებელ ქრისტიანებს მას შემდეგ მიმართა, რაც „მეუ“-ს თავდამსხმელები მთავარანგელოზ მიქაელის საკათედრო ტაძარში ხელმეორედ შეიჭრნენ. მან კურთხევა მისცა თავდადებულ ვაჟკაცებს, დაეტოვებინათ დაპყრობილი ტაძრის ტერიტორია. „უფალი, ღვთისმშობელი, მთავარანგელოზი მიქაელი და წმინდა მაკარი ყოველთვის ჩვენთან არიან!" – თქვა მან და აღნიშნა, რომ მორწმუნეებმა ყველაფერი გააკეთეს, რაც შეეძლოთ, და აკურთხა, რომ სალოცავად შეიკრიბნონ კერძო სახლებსა და ბინებში, ხოლო ტრამვირებულებმა ექიმებს მიმართონ.

მეუფის თქმით, მორწმუნეებთან ერთად ტაძარი მადლმაც დატოვა. თუმცა აქვე გამოთქვა რწმენა, რომ ისინი დაბრუნდებიან ამ სიწმინდეში სალოცავად. მან ასევე ხაზგასმით განაცხადა, რომ სიმართლისთვის ბრძოლა სასამართლოებში გაგრძელდება, მიუხედავად იმისა, რომ სამართლიანი მართლმაჯულების იმედი, მისი აზრით, მცირეა.

დაზარალებულთა შორის თავად მღვდელთმთავარიც აღმოჩნდა: თავდამსხმელებმა ჩერკასისა და კანევის მიტროპოლიტ თეოდოსის თავში ჩაარტყეს და ცრემლსადენი გაზის ნაკადი მიუშვეს. **„კოზაკი პერშის“ ტელეგრამ-არხის ცნობით,** თავდასხმის შემდეგ მეუფე საავადმყოფოში გადაიყვანეს.

როგორც მჟკ-ის ვებ-გვერდი იხსენებს, ჩერკასში ტაძრის აღების მცდელობები ადრეც იყო: 29 სექტემბერს კამუფლაჟიანი ხალხი **შეიკრიბა საკათედრო ტაძართან,** მაგრამ ტურმის დაწყება მაშინ ვერ გაბედა, რადგან თავიანთი სიწმინდის დასაცავად გამოსული უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წევრთა დიდი სიმრავლე დაინახა.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/92363/